პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 129 (12043) | ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

იკისრე ვალდებულება — შეასრულე კიდევაც!

ჩვენ ვცხოვრობთ ახალ ხანაში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ხანაში. ამ ისტორიულ ეტაპზე საბჭოთა ხალხის წინაშე ორი მთავარი ამოცანა დგას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა.

საბჭოთა ქვეყნის ადამიანებს აღაფრთოვანებს მშობლიური კომუნისტური პარტიის უანგარო ზრუნვა, რომლის მიზანია ეკონომიკის განუხრელი ზრდა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. ყოველი კოლექტივი, მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე ისწრაფვის ახალ-ახალი წარმატებებით შეეგებოს პარტიის XXII ყრილობას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი და საპატიო ამოცანა დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა. პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში დასახულია სოფლის მეურნეობის აღმავლობის ფართო პროგრამა.

დიდი ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშეც. ამ დღეებში, როცა პრაქტიკულად ხორციელდება პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მათ ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ. საქართველოს მშრომელებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს აწარმოონ 1.159 ათასი ტონა მარცვლეული, 165 ათასი ტონა ჩაი, 280 ათასი ტონა ყურძენი, 580 ათასი ტონა რძე, დიდძალი რაოდენობით ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, ბოსტნეული, ხორცი, კვერცხი და სხვა პროდუქტები. ეს სერიოზული ვალდებულებაა, ქართველი ხალხის სერიოზული სიტყვაა.

მაღალი ვალდებულებები იკისრეს რესპუბლიკის ოლქებისა და რაიონების მშრომელებმა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკა მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდის 2 ათასი ტონით მეტ და აჭარის ასს რესპუბლიკა 2,6 ათასი ტონით მეტ ჩაის ფოთოლს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით.

აბაშის რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა 8 ათასი ჰექტარი სიმინდის ნათესი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღონ 35 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 3600 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 60 ცენტნერი მარცვალი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს 1050 ჰექტარი ფართობიდან ყოველ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლის მიღება იკისრეს.

ვინ მოსთვლის ცალკეულ კოლმეურნეთა, მექანიზატორთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პატრიოტულ ვალდებულებებს!

„ჩვენში დამყარდა კარგი კომუნისტური ტრადიცია: იკისრე ვალდებულება — შეასრულე კიდევაც! — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ სიტყვა ფუჭად ხარჯონ".

სოციალისტურ ვალდებულებათა შემუშავება და მიღება, წარმოების შემდგომი ზრდის რეზერვების გამოვლინება და აღრიცხვა — მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია სოფლის მშრომელთა მობილიზაციისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. მთავარი ის არის, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონში, სოფელში მივაღწიოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ბევრ რაიონში, კოლმეურნეობაში უკვე იგრძნობა საქმის სასურველი შედეგები. თუ შევაჯამებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლის ხუთი თვის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით ჩააბარეს პირველი გამოცდა: საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა მინდვრის სამუშაოები, მნიშვნელოვან ფართობზე სიმინდი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ახლა წარმატებით მიმდინარეობს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესების დამუშავება, ჩაის ფოთლის კრეფა და მინდვრის სხვა სამუშაოები. რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება.

მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში კარგ წარმატებებს აღწევენ თეთრი წყაროს, მახარაძის, ზუგდიდის და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელები. ყოველდღიურად სასიხარულო ცნობები მოდის ჩაის პლანტაციებიდან. ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება 115 პროცენტით შეასრულა. ჩაის კრეფის ტემპი გაძლიერდა ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებშიც.

წარმატებები თავისით როდი მოდის. ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მთავარ როლს ასრულებს სწორედ ის, რომ ბევრ რაიონსა და სოფლებში პარტიული ორგანიზაციები შემოქმედებითად ეწევიან ცოცხალ, ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

ჩვენში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როცა ზოგიერთ რაიონში, კოლმეურნეობაში საზეიმოდ იღებდნენ დაპირებებს, ვალდებულებებს, ხოლო მისი შესრულებისათვის ბრძოლაში იჩენდნენ უინიციატივობას, საქმისადმი ნაკლებ პასუხისმგებლობას. ამიტომაც აქ საქმეს ასიკეთო პირი არ უჩანდა. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გააფრთხილა ამის შესახებ ახმეტის, დუშეთის, ცაგერის და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის აღნიშნა, რომ საჭიროა ყველაზე სერიოზული ყურადღება მიექცეს ადამიანთა აღზრდას გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის უმაცრესი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიური კონტროლი გავუწიოთ თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, რაიონს, თუ როგორ ასრულებენ ისინი ვალდებულებას.

პარტიის სასოფლო რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ აამაღლონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, კრებები, ლექცია-საუბრები, აგიტაციის ყველა საშუალება მიმართონ იქითკენ, რომ რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს ღრმად ესმოდეს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, დაიყვანონ პარტიის გადაწყვეტილებები თვითეული მათგანის გულამდე და გონებამდე.

დოქტორი სუკარნო და ნ. ს. ხრუშჩოვი ლენინგრადში

ლენინგრადი, 7 ივნისი. (საკდესი). დღეს დილიდან მოსკოვის ვაგზლის ახლო-მახლო მოედნები და ქუჩები გმირი ქალაქის მშრომელებმა აავსეს. სახლების ფრონტონებზე ფრიალებენ ინდონეზიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები, ალისფერი ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია მისალმების სიტყვები მეგობარი ინდონეზიელი ხალხის, მისი სახელოვანი შვილის — პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, დოქტორ სუკარნოს პატივსაცემად. ათასობით ლენინგრადელი მოვიდა ვაგზლის მოედანზე.

დღეს ლენინის ქალაქში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო, რომელიც სახელმწიფო ვიზიტით იმყოფება ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

დოქტორ სუკარნოსთან ერთად ლენინგრადში ჩამოვიდნენ პირველი მინისტრის პირველი მოადგილე, განაწილების მინისტრი დოქტორი ლეიმენა, დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილე პოლკოვნიკი ვილეიო პუსპოიუდო, შრომის მინისტრი ახმედ ერინგბოაჯა, სახალხო მრეწველობის მინისტრი ბრიგადის გენერალი დოქტორი სუხარტო, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პოდპოლკოვნიკი მურსალინ დაენგ მამანგუნგი, მინისტრი, სახელმწიფო მდივანი მოჰამად ისხანი, ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ადამ მალიქი და სხვები.

საპატიო სტუმარს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში ნ. ა. მიხაილოვი, არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ლახაჩოვი, თ. თ. მოლოჩკოვი და სხვები.

9 საათსა და 40 წუთზე ვაგზლის ბაქანს სახეიმო მარშის ხმებში მოადგა მატარებელი. ვაგონიდან გამოვიდნენ ინდონეზიის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური დოქტორი სუკარნო და საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. გაიმართა ოვაცია. გაისმა მისალმების შეძახილები.

დოქტორ სუკარნოს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და სხვა ჩამოსულ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ი. ვ. სპირიდონოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გ. ი. პოპოვი, ვ. ს. ტოლსტიკოვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. ისაევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი მ. ი. კაზაკოვი, ქალაქ ლენინგრადის უფროსი საზღვაო მეთაური ადმირალი ი. ი. ბაიკოვი და სხვები.

ბავშვებმა ყვავილთა თაიგულები უძღვნეს საპატიო სტუმრებს. საპატიო ყარაულს უფროსმა უპატაჟა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს დოქტორ სუკარნოს. ზეიმურად გაისმა ინდონეზიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ს. ხრუშჩოვთან, ი. ვ. სპირიდონოვთან და ვ. ი. ისაევთან ერთად დოქტორმა სუკარნომ ჩამოუარა საბჭოთა მეომრების მწყობრს.

ჩამოსულნი, რომელთაც მქუხარე ოვაციით, მისალმების შეძახილებით მიაცილებდნენ, გამოვიდნენ ვაგზლიდან და ღია მანქანებით გაემართნენ ქალაქში, ნევის პროსპექტზე, ნევის სანაპიროებსა და სხვა მაგისტრალებზე ძვირფას სტუმრებს აღტაცებით მიესალმებოდა ქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები.

ლენინგრადი, 7 ივნისი. (საკდესი). ინდონეზიის პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო დღეს იყო ლენინგრადის საკრებულო მეჩეთში. საპატიო სტუმარს გულითადად მიესალმა მეჩეთის იმამ ხათიბი ამდულბარი ისაევი. ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, თქვა მან, ხელს შეუწყობს საბჭოთა და ინდონეზიელი ხალხების მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

დოქტორმა სუკარნომ მადლობა გადაუხადა მიღებისათვის. ინდონეზიელი მუსლიმანები, თქვა მან, იბრძვიან მშვიდობისათვის.

მეჩეთიდან დოქტორი სუკარნო წავიდა ერმიტაჟში, ერმიტაჟში მას შეუერთდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

სტუმრებმა დაათვალიერეს დასავლეთევროპელ ოსტატთა ფერწერის კრებული. ისინი იყვნენ იტალიური, ჰოლანდიური, ფლამანდური, ფრანგული ხელოვნების დარბაზებში. დათვალიერა რა უდიდესი ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია, დოქტორმა სუკარნომ აღნიშნა: ერმიტაჟის განძეულს რომ გაეცნო, აქ უნდა გაატარო სულ ცოტა ნახევარი წელი. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ 1925 წელს ამ მუზეუმის დარბაზებში გაუტარებია მრავალი საათი, დაწვრილებით ეცნობოდა რა მის შესანიშნავ კოლექციებს.

დარბაზებში ინდონეზიის რესპუბლიკის მეთაურსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გულითადად მიესალმნენ ექსკურსანტები. ზამთრის სასახლის საპარადო დარბაზების დათვალიერების დროს საპატიო სტუმრები მივიდნენ მოსწავლეთა ჯგუფთან. ბავშვებთან საუბარში დოქტორმა სუკარნომ გაიგო, რომ ისინი არიან ნორჩი მოსკოველები. არდადეგებზე ჩამოვიდნენ ლენინგრადში, რათა გაეცნონ მის ღირსშესანიშნაობებს, ხოლო მათი ექსკურსიამძღოლები არიან ნორჩი მეგობრები — ლენინგრადელები.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ძვირფასეულობათა საცავი.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დოქტორმა სუკარნომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერეს საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში. სტუმრებს მიართვეს საჩუქრები — ერმიტაჟში დაცულ ხელოვნების ძეგლთა რეპროდუქციების ალბომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.



ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას

ვიკისრეთ, შევასრულეთ

სიმინდის კულტურა ჩვენს კოლმეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მისი მოვლა-მოყვანის დიდი გამოცდილება აქვთ კოლმეურნეებს, რასაც უნარიანად იყენებენ მოსავლიანობის გასაადიდებლად.

ახლა, როცა დაიწყო სახალხო ლაშქრობა მარცვლეულის წარმოების ასამაღლებლად, სოფელ ძრომის მესიმინდეები პირველნი ჩადგნენ მოლაშქრეთა რიგებში. ძათ იკისრეს 300 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 65 ცენტნერი მარცვალი და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკის ლესკენის რაიონის სოფელ არგუდანის სახელოვან მესიმინდეებთან.

იმისათვის, რომ ჰექტარზე 65 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოვიყვანოთ, პირნათლად გავანაღდოთ ნაკისრი ვალდებულება, ყველა სამუშაო მაღალხარისხოვნად და აგროვადებში ჩავატარეთ. ფართოდ დავნერგეთ თესვის პროგრესული მეთოდი. კვადრატები სწორია, მცენარეები წამოიზარდა, შეეუდექით დამუშავებას.

კარგა ხანია დავამთავრეთ პირველი კულტივაცია. ამ სამუშაოში განსაკუთრებით ისახელა თავი მექანიზატორმა ოთარ ბურჯანაძემ. მან 110 ჰექტარზე შემჭიდროებულ ვადებში მიიღწია ჯვარედინი კულტივაციის ორჯერ ჩატარებას. მას როდი ჩამორჩება სულიკო ბარამაშვილი. 160 ჰექტარ სიმინდის ნაკვეთებში მან მაღალხარისხოვნად ჩაატარა კულტივაცია და დაიწყო მეორე კულტივაცია.

ზოგიერთ ნაკვეთში მცენარის ძირების გამოსათხრნად ვიყენებთ ხელის შრომას. ამ სამუშაოს წარმატებით ასრულებენ ა. ბერაშვილი, ვ. ეთერაშვილი, ს. ბლიაძე და სხვები.

ენერგიას არ დავზოგავთ იმისათვის, რომ სასახელოდ გავანაღდოთ ნაკისრი ვალდებულება — ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 65 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგოლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში": ბ. მოდებაძე — კოლმეურნეობის აგრონომი, ვ. მანაბაძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლ. ხუციშვილი — კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

150 ცენტნერი მარცვლად

სიმინდის მოყვანის დიდი გამოცდილება აქვთ გალის რაიონის სოფელ ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდეებს. კოლმეურნეობაში ნასვენი მიწების ათვისებით ყოველწლიურად ზრდიან ამ კულტურის ფართობს. წელს ახლად ათვისებულ 70 ჰექტარ მიწაზე სიმინდი დათესეს, სულ კი — 310 ჰექტარზე.

ჩაებნენ რა „მინდვრის დედოფლის" უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში, გადაწყვიტეს წინა წლებთან შედარებით გაზარდონ მოსავალი ყოველ ჰექტარზე. სწორედ ამ მიზნით შეიტანეს სამი ათას ტონაზე მეტი სასუქი. ახლა თოხნა წარმოებს. ამ სამუშაოში დაწინაურდა მეთექვსმეტე ბრიგადა, რომელსაც ცნობილი მესიმინდე, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ჩოქოლი ქვაჩახია უძღვება.

ბრიგადის წევრებმა ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღება იკისრეს, ქვაჩახიამ კი მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 150 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღება იკისრა.

ამ ბრიგადის წევრები ტ. ქვაჩახია, ვ. შამათავა, ვ. ცაცუა, ე. ჯანულია მონდომებით შრომობენ ვალდებულების შესასრულებლად. მათ უკვე დაამთავრეს პირველი თოხნა და მეორეს შეუდგნენ.

შ. ჯონჯუა.

ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეებმა წელს გეგმით გათვალისწინებული 5.390 ჰექტარის ნაცვლად დათესეს 5.418 ჰექტარი სიმინდი. აღსანიშნავია, რომ საჩხერელებმა წელს პირველად მთელი ფართობი დათესეს ბუდობრივად მწკრივში. ახლა განაღებულია ნათესების დამუშავება.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲗᲐ

საქართველოს მშრომელებმა, კერძოდ მეცხოველეებმა პირობა მისცეს მშობლიურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პირადად ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს, რომ წელს და უახლოეს წლებში მკვეთრად გაზრდიან სახოგადოებრივი პირუტყვის სულადობას და პროდუქტიულობას, პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ამ დიდ საქმეში მსურს მეც შევიტანო წვლილი.

მოსავლელად მყავს ათი ძროხა, ყველა ადგილობრივი ჯიშისაა. მიზნად დავისახე ძროხების მოვლისა და კვების გაუმჯობესებით საგრძნობლად გავადიდო წველადობა. წელს გეგმით საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე უნდა მივიღო 1.050 კილოგრამი რძე. მაგრამ გადავწყვიტე გეგმას გადავაჭარბო 650 კილოგრამით — ესე იგი საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღო 1.700 კილოგრამი რძე.

დღემდე მიღებული მაქვს 600 კილოგრამამდე რძეზე მეტი.

ანა გოდუაძე,
წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიის კოლმეურნეობის მწველავი.

ᲕᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲣᲐᲛᲗᲔᲚ ᲛᲔᲡᲘᲛᲘᲜᲓᲔᲔᲑᲡ

ვანი. სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში ჩაებნენ ციხესულორელი მესიმინდეები და მაღალი ვალდებულება იკისრეს. 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 60 ცენტნერ სიმინდს მარცვლად, ხოლო 50 ჰექტარ მაღალმოსავლიან ნაკვეთზე საშუალო მოსავალს ჰექტარზე აიყვანენ სულ ცოტა 100 ცენტნერამდე.

ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ ნაკისრი ვალდებულება მცირე როდია. მაგრამ როგორც მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს, ყველა რეზერვი გვაქვს, რომ სასახელოდ გავანაღდოთ დადებული პირობა.

ბრიგადა, რომელსაც ვ. რობაქიძე ხელმძღვანელობს 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ სიმინდს მიიღებს მარცვლად ნაცვლად შარშან მიღებული 58 ცენტნერისა.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის მებრძოლმა ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ჯ. კორძაძე), რომელიც დაკომპლექტებულია მოწინავე კომკავშირელებით, 12 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდის მიღება იკისრა. ახალგაზრდა მესიმინდეები ზ. კორძაძე, გ. ახვლედიანი, გ. ბრეგვაძე, ე. კორძაძე, ლ. ახვლედიანი თითო ჰექტარი ფართობიდან 100-105 ცენტნერ სიმინდს მიიღებენ მარცვლად.

ვალდებულების გასანაღდებლად თავდადებით ვიბრძვით, მესიმინდეებს შორის ფართოდ გავშალეთ სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ სოფელ შუამთის კოლმეურნეობის მესიმინდეები, რომლებსაც ისეთივე სახნავ-სათესი მიწები და მუშაობის ისეთივე პირობები აქვთ, როგორც ჩვენ.

„კომუნისტის" საგუშაგო:
შ. გიორგაძე — ვანის რაიონის ციხესულორის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლ. გაბუნია — პარტიაროს მდივანი, ვ. რობაქიძე — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, თ. გიორგაძე — მოწინავე მესიმინდე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲒᲣᲚᲜᲘ

თეთრი შენობის ეზოში მაშინ შევედით, როცა მზე საკმაოდ აცხუხებდა. სიმსუქნით დამძიმებული ღორები აუზში ბანაობდნენ, ზოგიც ვეებერთელა კაკლის ხის ჩრდილში იწვა.

ახალგაზრდა, სახემკინარე გოგონა გულთბილად მოგვესალმა და რატომღაც, დარცხვენილმა, ეზოს გადახედა, იფიქრა ალბათ, ვაი თუ რაიმე უწესრიგობა შეამჩნიონო.

დიახ, ასე იციან შრომისმოყვარე ადამიანმა, ყველა იმან, ვინც მინდობილ საქმეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება.

იუზა დოგუზოვა! რამდენი ენერგია, სიხარული და საქმისადმი ერთგულებაა ამ ახალგაზრდა გოგონაში. სულ სამი წელია სასუქ პუნქტში მუშაობს. მშობლიურ ქსუისში დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა და ახლა აქ, კოლმეურნეობაში შესანიშნავად უხამგებს შრომას სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში სწავლას.

პირველ წელს იუზამ 150 ღორი გაასუქა, მეორე წელს — 250, მესამე წელს... ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.

— არასოდეს დამავიწყდება 1961 წლის 12 მაისი, — ამბობს იუზა დოგუზოვა, — მე მაშინ ვესწრებოდი სახეიმო სხდომას, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს მიეძღვნა. აქ ჩვენი მთავრობის მეთაურმა, მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მამებრძოლმა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა რესპუბლიკის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად მეც დამასახელა. ძნელია სიტყვებით გამოთქვა ის სიხარული, რაც მაშინ განვიცადე.

ახალგაზრდა მეღორემ წელს ვალდებულება აიღო გასუქოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 300 სული ღორი, თვითეული არანაკლები 80 კილოგრამის წონისა. მაგრამ იუზას ეს არ აკმაყოფილებს. ჩვენთან საუბარში მან განაცხადა, რომ შეუძლია კიდევ მეტი გასუქოს, თუ კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა მოახერხებს გასასუქებლად გადასცეს ღორების უფრო მეტი რაოდენობა. პირველი რიგის ამოცანად კი იუზა თვლის 200 გასუქებული ღორი ჩააბაროს სახელმწიფოს ჩვენი მშობლიური პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის.

იუზას თხოვნით ქსუისის კოლმეურნეობის გამგეობა ამჟამად აფართოებს სასუქ პუნქტს. უკვე აეშენებს მესამე განყოფილება, გადიდდება ეზო და სადგომი აუზი.

ახალგაზრდა გოგონა საქმით პასუხობს იმ დიდ ნდობას, რაც მას სოფელმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ გამოუცხადა.

ი. თედიაშვილი.

ᲔᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲥᲐᲘᲮᲡᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ სახელი გაითქვა სიმინდის მოსავლის მოყვანით. იგი მუშაობს საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

წელს მკლავმოუღლელმა მესიმინდემ გადაწყვიტა დაამუშაოს 2 ჰექტარი სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 120 ცენტნერი მარცვალი.

ᲓᲐᲒᲘᲗ ᲠᲣᲡᲘᲐᲡ კარგად იცნობენ არა მარტო ელანდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, არამედ მთელ გაგრის რაიონში. იგი სიმინდის ორი მოსავლის მოყვანის ოსტატია. წელს ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ სიმინდის პირველი მოსავალი ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი, მეორე მოსავალი — 30-35 ცენტნერი.

* / * *

სურათებზე: მესიმინდეები ევთანდილ ქაიხსროშვილი, დავით რუსია და მელორე იუზა დოგუზოვა.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლის «ფიროსმანის» დიდი წარმატება

ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის — ფიროსმანის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებით აღტაცებულია მისი ნიჭის ბევრი თაყვანისმცემელი. ამ შესანიშნავი მხატვრის სახე ყოველთვის იქცევდა ხელოვნების ოსტატთა ყურადღებას. და აი რუსთაველის სახელობის დრამატულმა თეატრმა ხორცი შეასხა მათს შთანაფიქრს, მაყურებელს უჩვენა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დრამატურგ გ. ნახუცრიშვილის პიესა „ფიროსმანი". პიესაში მართალია და დამაჯერებლად ასახულია უბრალო მუშა-შემოქმედის ცხოვრების გზა. პიესა „ფიროსმანი" რომანტიკული გულშიჩამწვდომი ნაწარმოებია, რომელიც მოგვითხრობს ნიკო ფიროსმანიშვილის ტრაგიკულ ბედს.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ ა. ჩიმაკაძეს. ფიროსმანის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მ. ჩახავა, ა. თოიძე, მ. ჩიხლაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. ვახნაძე, ბ. ზაქარიაძე და გ. სალარაძე, მსახიობები თ. ტატიშვილი, ზ. კვერენჩხილაძე და სხვები.

სპექტაკლ „ფიროსმანის" პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დაჯილდოვეს შემსრულებლები.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. პ. მეჟავანაძე, **გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური,** (საკდესი).

სამგორელთა მისაგაძი მაგალითი

სამგორის რაიონში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება, რათა ნათელ და ფართო საკლასო ოთახებში ერთ ცვლად მეცადინეობდნენ მოსწავლეები.

სოფელ კალინინოში საშუალო სკოლა იმყოფებოდა ვიწრო და შეუფერებელ შენობაში.

პარტიის სამგორის რაიკომის ინიციატივით (პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მირიანაშვილი) კოლმეურნეობა „სოციალიზმის" გამგეობის შენობა გადაეცა კალინინოს საშუალო სკოლას, მალე აქ დაიწყებენ რემონტს, შეაკეთებენ ოთახებს, შექმნიან პირობებს მოსწავლეთა ნორმალური მეცადინეობისათვის.

პარტიის რაიკომის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოფელში. გადაწყდა სკოლას გადასცენ კოლმეურნეობის კიდევ ერთი შენობა, სადაც მოთავსდება სკოლის დირექცია და სამასწავლებლო. ასე უნდა ვზრუნავდეთ სკოლისათვის, ჩვენი ბავშვებისათვის.

პარტორგანიზაცია — ბრძოლის მეთაური

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲚᲐᲢᲘ!

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲛᲐᲚᲕᲐᲨᲘ!

ᲒᲘᲛᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲓᲐᲛᲧᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲘᲗᲘ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲡᲘᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲘᲡᲣᲐᲜᲗ ᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲓᲠᲐᲡ ᲣᲛᲐᲦᲐᲡᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲐᲛ XXII ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ, ᲩᲘᲜᲘ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲠᲬᲧᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲐ ᲒᲐᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲠᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲐᲕ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲠᲐᲖᲛᲐᲕᲔᲜ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: მოწინავე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები (მარჯვნიდან მარცხნივ) **შ. ქაჯაია, კ. ბანძავა,** (სამტრედიის რაიონი), **ბ. ენდელაძე** (ბოლნისის რაიონი), **პ. ჰარუსიანი** (ბოგდანოვკის რაიონი) და **კ. აკოფიანი** (ახალქალაქის რაიონი).

ᲤᲝᲢᲝ **შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.**

ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

დ. საბაშვილი,
საქართველოს კპ ლენინურ-სტალინური რაიკომის პირველი მდივანი.

✦

ᲣᲙᲕᲔᲚᲐ, ვინც უკანასკნელ ხანს სასოფლო რაიონებში ყოფილა, ადვილად დარწმუნდებოდა იმაში, თუ რა დიდი და შეუჯერებელი შრომაა გაჩაღებული აღგილებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩაის კულტურას რაიონის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს და კოლმეურნეობათა მთელი ფულადი შემოსავლის 75-80 პროცენტი ამ კულტურაზე მოდის.

ტკაბსკენელ წლებში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული შუშაობა გასწიეს ჩაის წარმოების გასაფართოებლად. გაშენდა ახალი პლანტაციები, ბრძოლა გამოეცხადა სიმეჩხრეს, გაუჯრდესდა თვითეული ბუჩქის მოვლა-პატრონობა. ახლა ყველა კოლმეურნეობაში სრულყოფილად ტარდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ რაიონის მშრომელებმა გასულ წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 9.072 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. 1.372 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

კარგი წარმატებები წარსულში, მაგრამ ჩვენი ცხოვრება წინ მიდის. დაამყოფილდე გუშინდელით — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩე ცხოვრებას, ვერ აძყავ საერთო რიტმს. ამიტომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, როცა დარწმუნდნენ, რომ 1960 წლის დაკალებები და ვალდებულებები ჩაის წარმოებაში პირნათლად სრულდებოდა, დაიწყეს ზრუნვა წლევანდელი მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის მოსამზადებლად. პირველადმა საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ ხელში აიღეს 1961 წლის ჩაის გარანტირებული უხვი მოსავლისათვის კოლმეურნეთა დარაზმვის ეკონომბრძოლური ამოცანა და სასაღელოდაც შეასრულეს იგი. ისე ორგანიზებულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, თითქმის ორასოდეს არ ჩატარებული საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, როგორც წელს.

პარტია გვასწავლის, რომ ყოველი საბეურნეო წარმატება განპირობებულია კარგად მოწყობილი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური შუშაობით. ამიტომ პარტიის რაიკომმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება თავიდანვე გაამახვილა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების, მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე. ჩაის ფოთლის კრეფის დაწყებამდე დიდი ხნით აღრე ჩატარდა მოწინავე მეჩაიეთა რაიონული შეკრება, მოეწყო პირველადი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარები.

კარგად დაწყებულ საქმეს მუდამ კარგი შედეგი მოსდევს. რაიონის ჩაის პლანტაციებში ფოთლის კრეფა შერჩევით მაისის პირველ დეკადაში დაიწყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეისათვის მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 3.260 ტონა ჩაის ფოთოლი. ახლა რაიონში ყოველდღიურად 100-150 ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფება და ვალდებულების შესრულება ეპყრა აღარ იწვევს.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს აღწევს მუშაობაში ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობა — მამათის სასოფლო-სამეურნეო არტელი. ეს კოლმეურნეობა მოწინავე იყო გასულ წელს და მოწინავეა ახლაც. მამათელი კოლმეურნეები ყოველდღიურად 20 ტონამდე ფოთოლს აბარებენ სახელმწიფოს. მათი ვალდებულებაა სეზონში მოკრიფონ 1.100 ტონა ხარისხოვანი ჩაი, რაც რაიონის ვალდებულების თითქმის 12 პროცენტს შეადგენს. რით აღწევენ მამათელები ამ წარმატებას?

ძირითადი და მთავარია ის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგად ასრულებს მასების ორგანიზატორის მოვალეობას, მასობრივ-პოლიტიკურ შუშაობას სწორად ახამებს სამეურნეო საქმიანობასთან. პარტბიუროს (მდივანი პ. შეკარდანაძე) კოლმეურნეობის გამგეობასთან (თავმჯდომარე ვ. გოგუაძე) ერთად სწორად მოაწყო კომუნისტების განაწილება გადამწყვეტ უბნებზე, თითქმის ყველა ბრიგადაში შექმნილია პარტიული ჯგუფები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბრიგადების საგიტაციო-მასობრივი შუშაობის სწორად მოწყობას, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას. ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღონიძიებაზე არ არის არცერთი შრომისუნარიანი კომუნისტი, რომელიც საკუთარი შრომით მაგალითს არ აძლევდეს უპარტიო კოლმეურნეებს. კოლმეურნეობის სიამაყეს წარმოადგენს კომუნისტ კარლო საღუქაძის № 2 კომუნისტური შრომის ბრიგადა. ეს ბრიგადა წელს 155 ტონა ჩაის ფოთლისათვის იბრძვის. ბრიგადაში მომუშავე კომუნისტები პირადი მაგალითით აღფოთოვანებენ კოლმეურნეებს ჩაის ნედლეულის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. კომუნისტმა ქალმა ო. ჩხაიძემ არა მარტო რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. საქმე ის არის, რომ იგი ჩაის ფოთლის კრეფის დაწყების პირველი დღეებიდანვე დღეში 105-120 კილოგრამამ ფოთოლს კრეფს. ბრიგადაში ო. ჩხაიძეს ბევრი მიმდევარი ჰყავს. ბრიგადის წარმატება განპირობა იმან, რომ ბრიგადის პარტიული ჯგუფი სამეურნეო საქმიანობას საფუძვლად უდევს პარტიულ-ორგანიზატორულ შუშაობას. აქ რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი, საველე ფურცლები, სისტემატურად იმართება ყოველდღიური შრომასთან და ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული აგიტსატბრები და, რაც მთავარია, თვითეული კომუნისტი გრძნობს თავისი მოვალეობის დიდ პასუხისმგებლობას.

მამათის კოლმეურნეობა გამონაკლისი როდია. მას მხარდამხარ მიჰყვებიან ლესის, აკანის, ქვემო აკეთის, ეწრის, ახალი სოფლის, ჯურუყვეთისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ჭანჭათის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა იყო. აქ ხშირად იცვლებოდა ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს საქმეს როდი შველოდა. წელს იქ ვალენტინა გაგნიძეს პატრიოტული თაობიდან მსგავსად მოწინავე ქვემო აკეთის კოლმეურნეობიდან სამუშაოდ წავიდა საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ღლონტი, მოხდა ის, რასაც მოველოდით. ახალმა თავმჯდომარემ ამ ექვსი თვის განმავლობაში პარტიულ ორგანიზაციაზე, სოფლის აქტივზე დაყრდნობით შეძლო ჭანჭათის კოლმეურნეობას **ალარ ჰქონოდა ჩამორჩენილის სახელი** და მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო.

დიდია ლენინურთელ კოლმეურნეთა ვალდებულება. მიმდინარე წელს სამმობლოს უნდა მივცეთ 9.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე ავიღოთ სულ ცოტა ოთხი ტონა და 300 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი.

რაიონის მშრომელები, რომლებიც უსაზღვროდ არიან აღფრთოვანებულნი ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიერ ქართველი მეჩაიეების თავდადებული შრომის მაღალი შეფასებით, ძალისა და ენერგიას არ დაზოგავენ, რომ უფრო ენერგიულად იშრომონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲜ: სოფ. რუხის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მოწინავე მწველავები **ნარგიზა ლეთანაძე** და **თინა ბოგბა.** ᲤᲝᲢᲝ **ბ. სოკოლოვისა.**

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ

ᲮᲔᲘᲚᲘᲡ კვირტი ამოეყარა, ზაფხულივით ცხელოდა ტირიფონის ეელზე. ბაღებში მუშაობა იყო გაჩალი. მთავრდებოდა ხეხილის ძირების შემობარვა, წმალობა. კოლმეურნეები ისვენებდნენ. ერთი ყვებოდა, სხვები კი უსმენდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეც მათთან შეჩერდა. თითქოს სწორედ მის გასაგონად უნდოდა, ტრაქტორისტმა ილო მანდულაშვილმა ხმას აიწია, ბაღებში სამუშაოდ ტექნიკა არ გვყოფნის, ხელით კიდევ ბევრი საქმის შესრულება გვიდგია.

თავმჯდომარე მაშინვე გამოეპასუხა.

— ეგ მართალია, ჩემო ილო, მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ იმ ტექნიკას, რომელიც ჩვენს ხელშია, მთელი დატვირთვით არ ვიყენებთ.

ამან გააცოცხლა საუბარი. გამოითქვა წინადადებები, შენიშვნები.

— საჭირო ზომების მიხედვით კუთხური რკინისაგან ოთხკუთხედ ძელს თუ შეეკრავთ და მის კიდურებზე ორივე მხარეს მივაბამთ „ეს-3-30“ მარკის გუთნებს, შევძლებთ მინიმუმამდე მივუახლოოთ ხვნის კვალი ზეზარის ძირებს. ამით სანახევროდ შევამცირებთ ხელით შრომას, — წამოიწყო ანდრო ცერცვაძემ.

— ანდროს ვეთანხმები, ეს დიდი საქმე იქნება, — კვერი დაუკრა მექანიზატორთა ბრიგადირმა ვიორგი ცერცვაძემ.

— კარგი წინადადებაა! — მხარი დაუჭირა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ინჟინერ-მექანიზატორმა ამირან დემეტრაშვილმაც.

ეს საუბარი, რომელიც წინასწარ არაფის მოუმზადებია, მოგაგონებდათ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრის, ან პოლიტსკოლის მეცადინეობას. პასუხგაუცემელი არ დარჩა არც ერთი საკითხი, რომელიც კი კოლმეურნეებს აწუხებდათ, ასე დაიბადა ნათელი აზრი — ბაღებში ხეხილისათვის მოეწყოთ სპეციალური გადამბმული, რომელიც მალე კიდეც დაამზადეს ზედდულთელმა მექანიზატორებმა და კარგადაც იყენებენ. ამით მათ ყოველწლიურად ასობით შრომადღის ეკონომია მიიღეს და ხელით შრომისაგან განთავისუფლდა დიდძალი მუშახელი...

იყო ხელმძღვანელი — ნიშნავს იყო პროპაგანდისტი. ეს მოთავრია მასების დარაზმვისა და გაძღოლის საქმეში, ყველაზე მეტად სწორედ ამაში ვლინდება მუშაკის კომუნისტური ხასიათი.

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ გორის რაიონში ყველა ხელმძღვანელი მუშაკი პროპაგანდისტია. ამას ყველა ვერ აკეთებს, მაგრამ არის კარგი, შესანიშნავი მაგალითები, რომლებიც მიბაძვისა და გავრცელების იმსახურებს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ

ᲖᲔᲓᲐ ᲕᲔᲚᲐᲫᲐᲜ ჩაის ბაღებში ჩაფოლდ შენობათა კრამიტის სახურავები. ეს ქვაბგრელია. აქ ეკონომიურად ძლიერი კოლმეურნეობაა და კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ. რაიონში სახელგანთქმული უხვი მოსავლის ოსტატი ს. გალუსტაშვილიც აქაურია.

— მიხეილ, ბოსტნეულის გეგმას დიდი გადამეტებით ჩვენც ვასრულებთ, მაგრამ ისეთ მაღალ მოსავალს, როგორიც გალუსტაშვილის ბრიგადას მოჰყავს, სხვა ბრიგადებში ვერ ვიღებთ, — თვითოცალრებასთან ერთად რაღაც დაფარული თხოვნა მოჩანდა კოლმეურნეთა მმართველში.

— სწორად შენიშნავთ მუშაობის ჩვენს ნაკლოვანებებს, — უპასუხა პარტბიუროს მდივანმა მიხეილ მირუაშვილმა.

— გალუსტაშვილის ბრიგადის ნაკვეთებში კომბოსტო ყოველთვის დიდრონ თავებს იკეთებს, პამიდორი მსხვილს და ბევრს ისხამს, — აღნიშნა კოლმეურნე ეკატერინე სადაღაშვილმა.

— იცი რატომ, კატო? გალუსტაშვილის ბრიგადაში ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ჩითილების გამოყვანით იწყებენ, ნერგს ჯანსაღს და ძლიერს იღებენ. თქვენ კი...

პარტბიუროს მდივანი იმ საღამოს გვიან დაბრუნდა მინდვრიდან. გზაში სულ იმაზე ფიქრობდა — კმაყოფილი დარჩნენ კი მისი საუბრით? მაგრამ, როგორი კმაყოფილიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მაინც სჯობდა აგიტპუნქტში მოეწყო გალუსტაშვილის შეხვედრა კოლმეურნეებთან, თვითონ ხომ უკეთესად უამბობდა თავის გამოცდილებაზე?!

მეორე დღეს აგიტპუნქტში ტევა არ იყო. თანასოფლელებს გულმოდგინედ ესაუბრებოდა გალუსტაშვილი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შოთა ეცადაშვილმა სოფელ ფლავში კოლმეურნეობის მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა. აქვე მიიღო პროპაგანდისტული მუშაობის პირველი ნათლობა.

ეს იყო 1956 წელს. მას შემდეგ „ვეგ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში უცვლელი პროპაგანდისტია სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრისა, რომელიც შემდეგ სემინარად გადაკეთდა. მისი დიდი დამსახურებაა, რომ კოლმეურნეები ღრმად ჩასწვდნენ მეურნეობის ეკონომიკას, გაბედულად ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას და სწრაფად წამოსწიეს წინ მეურნეობის ჩამორჩენილი დარგები.

პროპაგანდისტულ მუშაობაში გაიზარდა ეცადაშვილი, ამ მუშაობით იმიტომ ავტორიტეტი და მოიპოვა კოლმეურნეების ნდობა. ოთხი წელია თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მის ჩვეულებრივ საუბარში ზშირად გაისმის: „შრომის ნაყოფიერება“, „თვითღირებულება“, „ფასი“, „წარმოება“, „ძირადბური დანახარჯები“, „ღირებულება“ და სხვა სიტყვები.

წინა წლებში ფლავში სომხიდის ნაკვეთებზე სარწყავ კვლებს ხარების გუთნით სჭრიდნენ, რაც ნაკვეთის გაუხეშებას იწვევდა, ამასთან კვალი სწორი და თანაბარი არ გამოდიოდა. ყველაფერი ეს კი უარყოფითად მოქმედებდა სომხიდის წარმოების თვითღირებულებაზე.

ამ სამუშაოს მექანიზაციაზე მუდამ ჩაფიქრებულმა ტრაქტორისტმა სტეფანე გიუნაშვილმა ბოლოს გამოსავალი მონახა. გადაწყვიტა ნაკვეთი დაეკვალა ბაღის კულტივატორით. მან კულტივატორის ჩარჩოს მხოლოდ ბოლოებში დაუტოვა ორი ცხრისებური საკაფრავი თათი, ტრაქტორი აიგუგუნა, სამუშაო ერთიორად ნაკლებ დროში და მაღალხარისხოვნადაც შეასრულა.

ᲖᲐᲮᲐᲤᲣᲚᲘᲡ პირზე თორტიზელებს კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი გიგი აბალაკი ეწვიათ.

— გიგი, დღეს მინდვრად ნაკელს სულ ახალგაზრდები ეზიდებიან. ახლა მალე შეისვენებენ. გთხოვთ ესაუბროთ რაიმე თემაზე, — არ ეშვებოდა კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ეკგენი სარბილაძე.

— კი, მაგრამ ისე სახელდახელოდ, მოუმზადებელი რომ გამოგვივდეს საუბარი? მაინც რა უფრო ინტერესებთ?

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგებზე უამბეთ! ახალგაზრდები შეიკრიბნენ.

კომკავშირის რაიკომის მდივანს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კოლმეურნე ომარ ბერძენიშვილმა წამოაყენა წინადადება:

— იქნებ აჯობებდა, რომ სომხიდის მაღალი მოსავლის მიღებისათვის შეგვეძინა „კომკავშირული რგოლი?

— აჯობებდაო?! მისასალმებელია! — დაუდასტურა რაიკომის მდივანმა.

ახლა სოფელ თორტიზაში სომხიდის მაღალი მოსავლისათვის სანიმუშოდ იბრძვის კომკავშირული რგოლი, რომელსაც ომარ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს. რგოლში ექვსი კომკავშირელია. 10 ჰექტარ სომხიდს უვლიან, სამუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი მარცვლის მოღებას ვარაუდობენ.

ᲡᲝᲤᲔᲚ ხვითის კოლმეურნეობის მინდორში შეეხვდი პარტიის გორის რაიკომის მდივანს ია ბოლოიშვილს. რუს პირას ჩამომჯდარიყო, კოლმეურნეებს სომხიდის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე ელაპარაკებოდა.

— გიორგი, ეგ პარკი მომაწოდე! — უთხრა ავტომანქანის მძღოლს ტოლიაშვილმა. მძღოლმა ნარმის ბატარა პარკი გადასცა. შიგ რამდენიმე სომხიდის ტაროა იყო.

— ეს ტარო 350 გრამს იწონის, — გაგაგრძო საუბარი მდივანმა, — თუ ჰექტარზე 40 ათას ძირ მცენარეს შევინარჩენებთ და თითო ძირს ერთი ასეთი ტარო ექნება, მაშინ 140 ცენტნერ მოსავალს მივიღებთ. სამასგრამიანი ტაროთითო ძირზე მოგვცემს ყოველი ჰექტარიდან 120 ცენტნერ სომხიდს, ორასორმოცდაათგრამიანი — 100 ცენტნერს, ორასგრამიანი — 80 ცენტნერს...

კოლმეურნეები ერთხელ კიდევ თვალნათლივ დარწმუნდნენ ნაყოსერ ვალდებულებათა რეალობაში, ოღონდ საჭიროა საქმისადმი გულმოდგინება.

— განა ყველანი ერთნაირი მონდომებით მუშაობთ? — იკითხა ბოლოს მდივანმა და ყველამ ვახტანგ ბასილაძეს გადახედა. მას ეყო გამბედაობა: — სომინდის სათოხნად გამოსვლა დავაგვიანე, მაგრამ ორმაგი შუშაობა გა მოვისყიდე ამ დანაშაულისო.

— განა მარტო ვახტანგია გაკიცხვის ღირსი?! იფრეგ ხუბეევი დღესაც არ გამოსულა მინდვრად, — წამოიძახა ერთმა.

— ნადია ზანგალაძეზე რატომ არაფერს ვამბობთ, მასზე მომაგრებულ ნაკვეთში სომინდს ბალახმა გადაეარა, — დაუმატა მეორემ.

— ომარ ბასილაძე შრომას გაურბისI— თქვა მესამემ.

— მერე და, თუ აგრეა, საღ არის გამგეობა, პარტბიურო, აქამდე რატომ მიიყვანეთ საქმე? — კითხვა შეუბრუნა მდივანმა და თან უბის წიგნაკში განაგრძობდა იმის ჩანიშვნას, რაც კოლმეურნეებს აღელვებდა. იგი საღამომდე დარჩა კოლმეურნეობაში. გამგეობის და პარტბიუროს წევრებთან ერთად შეიმუშავა ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის უკეთ მოსაწყობად.

* * *

ბევრი პარტიული და სამეურნეო მუშაკი ხელმძღვანელობს წრეებს, პოლიტსკოლებსა და სემინარებს, გაერთიანებულია ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფებში.

კოლმეურნეები ყოველთვის სიამოვნებით ისმენენ პარტიის გორის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორის კონსტანტინე გუდაძის, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ავთანდილ ჩხეიძის, ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტარიელ ძამელაშვილის და სხვათა ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს.

* * *

